

# ლიცეოს სურული საშუაში



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამატიპა  
№3, 1 აპრილი, საშუაბატი, 2025 წელი

## საზღვარი - ჩემი პანთეონი (ანდერძი)



## შხია ხეთიფური - 80

გაქრა ის, რაც იყო,  
ქრება ის, რაც არის,  
სყლს ყქიონს ექვების ზიფვა...  
მკითხველი არ არის,  
არ არის, არ არის!  
„მწერალი?“ – რამდენიც გინდა!

ჩემი ბავშვობის სასუფეველო!  
გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!  
ჩემო ოსებო და ქართველებო!  
ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!  
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ, –  
მტერი ზეიმობს სახემცინარი!  
თამარს მისტირის თამარაშენი,  
ავთულხლართებში ტყვეობს ცხინვალი!  
დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“,  
ამ სიყვარულის უსაზღვროებით!  
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე  
აქ – ქართველების, იქით – ოსების!  
დამასაფლავეთ ფარდაახდილი,  
ზურგში მახვილით, ცით გაფრენილით!  
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი,  
როგორც მანდილი – ძირს დაფენილი!  
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის,  
ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!  
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი,  
თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!  
დამასაფლავეთ როგორც სინდისი, –  
სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,  
დამასაფლავეთ როგორც „სიმღი“ და,  
როგორც „ჩაკრულო“, ან „ვარაიდა!“  
უსამართლობით გულშემზარავი –  
დაასაფლავეთ თავად საზღვარი –  
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი,  
სისხლით და ცრემლით გაუმაძღარი!  
გულში დაჭრილი, ჩექმით მლაფავი,  
ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!  
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც  
და, ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!



### მზია ხეთაგური – სულის მესაზღვრე

მზია ხეთაგური თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია იმ მრავალფეროვანი ნიჭიერებით, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთ ჟანრში აისახა: პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, დრამატურგი, თეატრმცოდნე, გემოვნებიანი რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე.

წელს, 14 მარტს ქ-ნ მზიას საიუბილეო თარიღი – 80 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით დაგეგმილია არაერთი შემოქმედებითი საღამო თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მათ შორის, თბილისში, მაისში საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით.

მზია ხეთაგური ხაშურის საზოგადოებისთვის გამორჩეულად საყვარელი ავტორი და გულითადი მეგობარია, რასაც მონაწილეობა ხაშურში სხვადასხვა წლებში გამართული მისი შემოქმედებითი საღამოები და მსმენელთა ინტერესი.

გაზეთი „ლიტერატურული ხაშური“ ულოცავს ქ-ნ მზიას საიუბილეო თარიღს და უსურვებს დღეგრძელ და ნაყოფიერ შემოქმედებით წლებს.

მზია ხეთაგური ცხინვალში დაიბადა. დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერ ბავშვთა ათწლედი თბილისში. კონსერვატორიის მეორე კურსიდან სწავლა განაგრძო შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში (თეატრმცოდნეობა).

ბავშვობიდან წერდა ლექსებს, პიესებს, მუსიკალურ ნაწარმოებებს. ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში მის შემფასებელთა შორის იყვნენ: გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, რევაზ ლალიძე, იოსებ გრიშაშვილი; მოგვიანებით – აკაკი ხორავა, ანა კალანდაძე, ნაზი კილასონია, თამაზ ჩხენკელი, თამაზ ჭილაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ბელა ახმადუღინა, იური რიაშენცევი, სერგეი ვოზნესენსკი, ევგენი ევტუშენკო, ვლადიმერ სოლოუხინი, ელდარ რიაზანოვი, მარინა ვლადი, ელენა ნიკოლაევსკაია, ლიანა ისაკაძე, გიგა ლორთქიფანიძე, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე, დოდო ჭიჭინაძე, ლიანა ასათიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რამაზ ჩხიკვაძე, სესილია თაყაიშვილი, გურამ საღარაძე, ზვიად გამსახურდია, რეზო ჩხეიძე, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ლენა ყიფშიძე, ლიანა ელიავა, ლანა ლოლობერიძე, ბესიკ ხარანაული, მუხრან მაჭავარიანი, მედეა კახიძე, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ციციშვილი, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ ნივნივაძე. მზია ხეთაგური 12 წლის ასაკში შერჩეული და დამტკიცებული იყო სიკო დოლიძის მიერ ფატიმას როლზე (ფილმი „ფატიმა“), მაგრამ მამის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო, ეს დებიუტი არ შედგა, რადგან მამას მიაჩნდა, რომ ამ ასაკში ასეთი ტრაგიკული როლის შესრულება გოგონას ფსიქიკაზე სტრესულ გავლენას მოახდენდა. მოგვიანებით იგი დაამტკიცეს მერის როლზე ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, თუმცა, მზია ამ დროს უკვე ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლეულში სწავლობდა და მისი საკონცერტო სამზადისი გადაღებებს ემთხვეოდა. სახსოვრად დარჩა მხოლოდ ფილმებზე დამტკიცების ორი ფოტოსურათი-სინჯი, რომელსაც აღარაფერი ედგა წინ, მითუმეტეს, რომ გოგონამ რეჟისორები გააცოცხლა უშუალოდ და სამსახიბო ნიჭით... მზია ხეთაგურზე ცალკე წერილებია გამოქვეყნებული სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში – მუშაობდა წლების მანძილზე მუსიკალურ სკოლაში პედაგოგად, საქართველოს რამდენიმე თეატრში – ლიტ. ნაწილის გამგედ, მსახიობად... ხშირად აქვეყნებდა როგორც ლექსებს, ასევე რეცენზიებს თეატრის შესახებ, პუბლიცისტურ წერილებს. მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა (გორკის სახ. ლიტ. ინსტიტუტი) და დაიცვა ხარისხი, როგორც თეატრმცოდნე.

მისი ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე, გამოცემულია ცალკე წიგნებად – როგორც პოეტური, ასევე მოთხრობების, პუბლიცისტიკისა და პიესების კრებულები. პიესები დადგმულია საქართველოს რამდენიმე თეატრში დიდი წარმატებით. მ. ხეთაგურის საბავშვო პიესა „ხეტიალამ“ ორ საერთაშორისო ფესტივალზე აიღო პირველი პრიზი (რეჟ. გივი

სარჩიმელიძე), 1979 წ. ტაშკენტში, ხოლო 1981 წ. – პოლონეთში. „ხეტიალამ“ დაიდგა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის თოჯინების თეატრში.

მ. ხეთაგური მუშაობდა, აგრეთვე, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, გამომცემლობა „მერანში“ (ალმანახ „დრამატურგიის განყოფ. გამგედ) და გ. ტაბიძის, მარჯანიშვილზე განთავსებულ სახლ-მუზეუმში (თბილისში). ყველგან, სადაც იგი მუშაობდა, დიდი ღვაწლი შეჰქონდა და მუდამ შეეძლო და შეუძლია სხვისი ნიჭის შემჩნევა, შეფასება და სამზეოზე გამოტანა.

მზია ხეთაგური თავსმოხვეულ ოსურ-აფხაზურ-ქართულ კონფლიქტებში თავის სიტყვას ამბობდა მაღალი ტრიბუნიდან: მოსკოვი, ლენინგრადი, ვოლგოგრადი, ჰელსინკი, ლატვია, კიევი...

რუსეთის მიერ პროვოცირებულ ე.წ. ქართულ-ოსურ კონფლიქტში მ. ხეთაგურმა პატიოსანი გზა აირჩია. მის სიცოცხლეს ბევრჯერ დაემუქრა საფრთხე, მაგრამ არასოდეს უღალატია საქართველოსთვის და ამით, ოსების თვითმყოფადობასაც იცავდა. რუსების და ოსების მიერ დიდძალი თანხისა და კეთილდღეობის შეთავაზება მან შეურაცხყოფად მიიღო და კატეგორიული უარი თქვა პროვოკაციაში მონაწილეობაზე, რისთვისაც „კეთილმოსურნებმა“ უთხრეს: „თქვენ ან გიჟი ხართ, ან გმირი!“ პასუხი კი ასეთი იყო: „მე ერთიც ვარ და მეორეც, ჩემი ე.წ. კეთილდღეობის გამო, ვერ დავაზარალებ ჩემს ოსებს, რადგან მათ ვუსპობ პერსპექტივას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების განხრით, რასაც მხოლოდ საქართველო უზრუნველყოფს; ხოლო ქართველებს ვუღალატებ იმით, თუ ხელს მოვანერ მისი ძირძველი ქართული კუთხის – სამაჩაბლოს დაკარგვას.

მზია ხეთაგურს მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და პრემია: შიო მღვიმელის, ივ. მაჩაბლის, გ. ტაბიძის, ქართული კულტურის დესპანის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, სალომეა ნერისის (ლიტვა), ადამ მიცკევიჩის (პოლონეთი), მაიაკოვსკის სახ. და ა.შ. არის ლირსების ორდენის კავალერი და რაც თავად მისთვის ყველაზე საპატიოა – საქართველოს პატრიარქის – ილია II მიერ დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით (2011 წ.).

რამდენიმე სატრანსპორტო ავარიის შედეგად მას დაუზიანდა ორივე ფეხი. ამის გამო უკვე რამდენიმე წელია აღარსად მუშაობს, თუმცა აქტიურად არის ჩართული სარედაქტორო საქმიანობაში და ხელოვნებისადმი მიძღვნილ საღამოებშიც წარმატებით მონაწილეობს. არის შესანიშნავი ორატორი. მზია ხეთაგურს შეეძლო უმდიდრესი ყოფილიყო თუ საქართველოს ინტერესებს უღალატებდა, ან პირფერობით მიაღწევდა ლირსეული სიბერისთვის საჭირო პირობებს. მაგრამ ჩვენ ვლავარაკობთ მზია ხეთაგურზე და ამით ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ არის ნათქვამი. მისი ლექსები ბევრმა მკითხველმა ზეპირად იცის, ბევრი მის უღალატო ბუნებას მიაგებენ პატივს. მას ყველაფერი აქვს, რაც ღვაწლმოსილ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ – გულწრფელი ადამიანების მიერ გამოხატული სიყვარული.

მზია ხეთაგური არც მხოლოდ ოსია, არც მხოლოდ ქართველი. იგი ამ სამყაროში გამორჩეული, უკომპრომისო, გონიერი და უაღრესად საინტერესო ადამიანია.

2016 წლის 17 მაისს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში გაიმართა მზია ხეთაგურის 70 წლისთავისადმი საიუბილეო საღამო.

მზია ხეთაგურის აზრით საქართველოს გამთლიანებისა და აღმავალი მომავლისთვის გამოსავალი ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი:

**„ჩვენს ხელისუფლებაში თუ რამდენიმე ადამიანი მაინც იქნება ისეთი თავგანწირული და გონიერი როგორებიც იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გივი ამილახვარი, თევდორე მღვდელი და ილია ჭავჭავაძე, – მავთულხლართებიც მოისპობა, სოფელი სოფელს დაემსგავსება, ქალაქი-ქალაქს... ქართველები და საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც თავის ღირსეულ წინაპრების მიმართ პატივისცემით განიმსჭვალებიან... ხოლო ეს, უკვე ლამის „მოდაში“ შემოსული დამაბნელებელი ნიჰილიზმი იმედით შეიცვლება – საქართველო მართლა გაბრწყინდება.“**



# ნ ი ე ლ ა



გამომცემლობა „საარმა“ მარინა ლონლაძის რიგით მესამე კრებული „ნიჟარის ბეჭედი“ გამოსცა, რომელშიც, ლექსებთან ერთად, ავტორის ნოველები და მოთხრობებიც არის შესული.

„ლიტერატურული ხაზი“ ულოცავს ქ-ნ მარინას ახალ კრებულს და მკითხველს სთავაზობს ნოველას ამ კრებულიდან.

## რა მენატრება?!

ჭიმვარზე მობმული მსხვილი ჯაჭვი ძლივს გამოვხსენი, კარი ხმაურით გაიღო. ეზო გადაბალახებული დამხვდა, ჩემს დარგულ თეთრ ვარდს თავი გადაურჩენია, ტუხტის ყვავილის ხეს აჰყოლია და ვარდისფრად გაშლილ ყვავილებში თეთრად ანათებს. მამისეული ვენახი ისე გათავზებულა, ხეივნიდან ვაშლის ხეზეც გადასულა, რამდენიმე წლის წინ ძლივს ჩამობრძანებული ისევ მის ტოტებს ჩახვევ-ჩაკონება, თითქოს უნდა დაახრჩოს, აივანზე ასასვლელი კიბის მოაჯირიც დაუპყრია, მტევნები ბლომად დაუსხამს და გაჯეჯილებულა, რომ იტყვიან. სუროებიც ასე მოქცეულან, ძველ ფიცრის კედელს აჰყოლიან, მეორე სართულამდე ასულან. ადრე როგორ მომწონდა, მამას ვთხოვდი, არ მოეჭრა, ახლა კი რალაც უცნაურად უსიამოვნო შეგრძნება გამიჩნდა. აღარ მომეწონა, შიში დამეუფლა...

დავისვენებ და ავკაფავ, ეზოსაც, სახლსაც, ძველ იერსახეს და ვუბრუნებ... მალა სახლის შუშბანდიანი აივანი სიცხისაგან ჩახუთულა, ფანჯრები გამოვალე თუ არა, სასიამოვნო გრილი ჰაერი შემოიჭრა. სავარძელი ფანჯარასთან მივარჩე და მძიმედ ჩავესვენე... ბუმბურაზეკიანი ყორის ორლობები სალამოს აჩრდილები შემოპარულან. აქა-იქ რამდენიმე ციციანათელამაც გაანათა... ახალგაზრდა გოგო-ბიჭებმა აიარეს, მდინარე ჩხერიმელაში გაგრილებულები ისევ სიცხეს უჩიოდნენ, სალამოს შეხვედრას გეგმავდნენ.

რა ლამაზია მწვანეში ჩაფლული ჩემი სოფელი, თითოეული სახლი ნაცნობია. ზოგან ისევ ძველებურად ისმის ფუსფუსი, ხმაურობს სახლი, ზოგან ჩაჩუმებულია, გარინდულია, მოლოდინის იერ-სახე დაუფლებია. შორს მალაღი, ლამაზი მთები ცად აზიდულან, მედიდურად დასცქერიან ჭალას. რა ნაცნობი პეიზაჟია, ათასჯერ დავეკვირვებოვარ, ამდენჯერვე გავუოცებოვარ თავისი ზღაპრული სილამაზით.

დილაობით ისევ გამომძახის ხოლმე გუგული. მეც, ადრე ამდგარი, მზის საოცარი ამოსვლით დასატკობდა დაუზარებლად გაეძახი: მიჯობნია, მიჯობნია-მეთქი.

– რა გენატრება? – მეკითხება ვიღაც. შევკრთი, მიმოვიხედე, სახლში აღარავინაა, ნაბლის ხის მოყავისფრო კედელზე ფოტოებიდან სიყვარულით მიცქერიან ამ სახლის ყოფილი დიასახლის-მამასახლისი. მათი ფოტოებიც კი იმედით მავსებენ და ყოველგვარ შიშს მიფანტავენ.

ვინ უნდა იყოს? არ ვიცი, ვინ, მაგრამ მეკითხება და ხომ უნდა ვუპასუხო? თვალებს ვხუჭავ და... ვუფიქრებ. „რა? რა მენატრება? შენ ის მითხარი, რა არ მენატრება თორემ...“ – გავივლე გულში.

– გეტყვი, ახლავ გეტყვი, ნორმალური ნელინადის დროები მენატრება, ისეთი, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო...

– მაინც, როგორ? როგორი იყო, ასე რომ მისტირი? – ისეთი, როგორც დიდი ხანია აღარ მინახავს. ზამთარი – დიდი, ფუმფულათოვლიანი, აი, ისეთი, ჩახუტება რომ მოგიხდებოდა... მოგესურვება, თოვლზე გადანე, დაისვენო, როგორც საკუთარ საწოლში, დედის ხელებმა რომ საგანგებოდ გაგიწყო და გაგიზადა დასაძინებლად, თოვლივით თეთრი ფითქინა ქვეშაგებით. დანვე, ცას ახედო, ცამ კი არ გაგიცინოს, წამნამებზე დაგეფინოს, ოცნებებში ჩაგძიროს...

– დაამთავრე? – არა! ღამით ნითლად მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედული ცა მენატრება, სავსე მთვარით განათებულ-გაბრწყინებული, თოვლიან დედამინას რომ თავს ევლებს, დანათის და ათასფრად აბრწყვილ-ასხივოსნებს. შენ, მამის მხრებზე წამოსკუპული, ბებიისგან მომავალი, სახლში ბრუნდები, ცაზე ვარსკვლავებს ითვლი, ტკბები ამ მოჯადოებული სანახაობით, მამის ფეხის ნაბიჯების ქვეშ მშრალი თოვლის ქრაჭუნი გესმის და გიხარია...

– სულ ეგ იყო? – არა, სულ ეს არ იყო... ეს მხოლოდ... რომ იტყვიან ზღვაში ერთი წვეთია... – ეგ რა მოსანატრებელია? თოვლი, ცა და ვარსკვლავები ახლა არ არის? მიდი და ითვალე. – არა, არა, მაშინ სულ სხვანაირად ლამაზი იყო, სულ სხვანაირად... – არ თქვა ახლა, გაზაფხულიც სხვაგვარი იყო. – კი, სულ სხვანაირად ლამაზი. – მაინც?

– გაზაფხული, ჩემი ბავშვობის გაზაფხულიც მენატრება. ჯერ ყვითელტოტება ტირიფები გამოიბრწყინებენ, თხილზე აბრეშუმის ჭიებივით ჩამოეკონიალებიან მომწვანო-მოყვითალო ყვავილები, აქა-იქ თოვლზე თავი ამოუყვია ენძელებს, ბუჩქის ძირად ვარდისფრად მობნეულან ყოჩივარდები... შესაფერისად დამთბარი, ამღერებული ბუნება, დაბრუნებული მერცხლების საამური ჭიკჭიკი, ბანზე რომ ბუდეს აახლებენ და საოცარი მონდომებით ეზიდებიან „მასალებს“...

დედაჩემი მენატრება, ბუნებასავით ამღერებული დედაჩემი, სახლს რომ ალაგებს, მერცხლების მოფრენა რომ ახარებს, თვითონაც რომ ფრინველივით დაფრინავს და, მათაც რომ ჩემნაირად ეფერება... ჩემი ეზოს წინ ქვიდან ამომხტარი პატარა წყაროც მენატრება, სუფთა, კამკამა, წკრიალა, აი, ახლაც რომ ჩამესმის მისი რაკრაკი ისე, როგორც დედის სიმღერა, ამქვეყნად ყველაზე ტკბილი, თუკი რამ გამიგონია... მერე ეზოდან გამოსული პატარა წყარო ლელეს უერთდება და დედაჩემივით სადღაც მიდის... იკარგება... და მინდა გითხრა, რომ მერცხლებიც, ჩვენი ვერანდის მერცხლებიც, მის ცხედარს სამჯერ წრეს არტყამენ და მასთან ერთად უჩინარდებიან...

– მგონი, მონატრებიდან ფიქრებს გაჰყევი მეგობარო... ზაფხული? ზაფხული არ გენატრება?

– ზაფხულიც მენატრება. გაგიკვირდება, მაგრამ ჩემს ბავშვობაში სულ სხვანაირი ზაფხული იყო: მზე ამოდის, ნელ-ნელა, მონოტონურად იმატებს სიცხე, შუადღით მთელი უბნის ბავშვები უკვე სახატოში, წისქვილის წყალზე, მთის წყალში ვჭყუმპალაობთ, სოფელს რომ ჩამოუდის დასავლეთის მხრიდან. დედებს დიდი ზომის გადასაფარებლები წამოუღიათ და მდინარეზე რეცხავენ, იქვე აშრობენ, მხიარულობენ, წყლის წისქვილის საამო ლულუნი ისმის, დაგუბებული წყალი რომ ხის ღარიდან ჩანჩქერივით ესხმის და ქვას ატრიალებს... ჭრიჭინოებები გამაყრუებლად ჭრიჭინებენ, ჩვენ კი პატარა ჩანჩქერიდან ვეშვებით, წყალში ვიძირებით, მთის წყლით გაგრილებულები იქვე ულამაზეს კლდეზე მხეს ვეფიცხებით... ო, რა სიამოვნებაა... სალამოს ორლობები ციციანათელებით ივსება, რა ლამაზი მთები შეედრება მათ საოცარ ნათებას, მოძრავი, ბუნებრივი განათებები, რა ლამაზია... ბავშვები დავდევთ, მუჭში ვაგროვებთ: – გაუშვით, დედა მითხრა ნილები დაგეხვევაო, – მეძახიან ბავშვები. ციციანათელს ხელს ვუშვებთ და მხიარულ სალამოს ვუერთდებით, თემობანა რომ შევარქვით.

– მთის მდინარე, ციციანათელები... გართობა ახლა არ არის? თუ მზე აღარ ამოდის? მიდი და დატკბი, ვინ გიშლის?

– გეტყობა, შენ ამას ვერ მიხვდები. ის სულ სხვანაირი იყო, გესმის? სულ სხვანაირი...

– კარგი, კარგი, ნუ გამიბრაზდები, მე ხომ არ მინახავს ის სხვანაირი... შენ შემოდგომაც გენატრება, მგონი, – ირონიულად მეკითხება ის, ვიღაც, რომ ამედევენდა და ტვინი გამიბურღა...

– შემოდგომა? – შემოდგომა არ მენატრება. – ეს როგორ? – როგორ და ისე, არ მენატრება – წყრომით ვპასუხობ. – რატომ, რა დაგიშავა? – ეჰ, ახლა შემოდგომა მე თვითონ დამდგომია და... – ეგ რას ნიშნავს? – მაგას დაფიქრება სჭირდება... შენ ვერ გაიგებ, მეგობარო, ფოთოლცვენის მეშინია, გესმის?

– გაცვივდეს ფოთოლი ხეს, შენ რა გენალვლება? – შენ იმასაც ვერ ხვდები, რომ ადამიანებიც ფოთლებს ვგავართ... შემოდგომის ფოთლებს...

– შენ რა უცნაური ადამიანი ხარ, რალა ფოთლებს ედრები, მსხმოიარე, მწიფე ყურძნის მტევნებს შეედარე, დალოცვილო...

– მაგასაც ვგავარ. – მაგას როგორღა? – ვითომ, ვერ ხვდები? მგონი, კი. – ეჰ, მოგცლია, რა... – რაო? – მოგცლია რა... – ვინ ხარ, არ იტყვი? – მე, მე გუბუნები შენ... შენ ვინ ხარ? – მე? მე ადამიანი, ერთი უბრალო მოკვდავი ადამიანი. – მერე? ადამიანს ყველაფერი ადამიანური ასე რატომ გენატრება? – არ ვიცი, მეც ეგ მიკვირს...

– ეჰ, ყველა ადამიანი ერთმანეთს გაგხართ, რაც გაქვთ, როცა გაქვთ, არ აფასებთ, არ უფრთხილდებით, არ ტკბებით იმ დღით, იმ წუთებით, იმ წამებით, იმ განცდებით, იმ ადამიანებით, რომლებიც გარს გეხვევიან, ცხოვრებას გილამაზებენ... მომავლისკენ იცქირებით, გგონიათ, რომ მერე, მერე მოვა უკეთესი...

მერე კი მერე ყველაფერი გენატრებათ... – კი ასეა, ასეა... ნამდვილად ასეა, მეგობარო. მე, ერთ ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანს ყველაფერი ადამიანური მენატრება...



# ივლი ნათელი

## იზო პაქსაშვილი – მეგობრობის ევერესტი (შტრიხები პორტრეტისათვის)

„ქალი, რომელსაც ერთი დღე არ გამოუყენებია თავისი კეთილდღეობისთვის“ – ეს ფრაზა ცნობის ფურცელივით ფრიალებს ხაზურის ქუჩებში, შემდეგ ადრესატს კარზე უკაკუნებს... კარზე, რომელიც დღემდე ღიაა...

ვინ იცის, რამდენი ათეული წელი, გამუდმებით მესმოდა იზო პაქსაშვილის სახელი, რომელიც თითქმის ყველა ხელმძღვანელი სტატუსის მოღვაწეობის შემფასებელ კრიტერიუმად გამოიყენებოდა.

საინტერესო ფენომენია ის ადამიანი, რომელიც საკუთარ მე-ს უარს ეუბნება. უფრო სწორად, ვერ შეამჩნია, ვერ დააფიქსირა, რომ ისიც ისეთივე ქალია, როგორც სხვა ყველა. დრო არ ეყო ამისთვის... იმის გამო, რომ იმ ეპოქის რეჟიმის ხელმძღვანელი, რომელშიც ცხოვრობდა, მაქსიმალურ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თავს. სხვა ენაზე მეტყველებდა მისი შინაგანი კულტურა.

სამაგიეროდ, დრო არ ამორებდა თვალს; მის ყოველ ნაბიჯს აფიქსირებდა, ითვისებდა და ანყოფიდა ისტორიას „სკივრში“, საიდანაც ჯერ არაფერი დაკარგულა, არაფერი აორთქლებულა.

მის მიერ ურთიერთობების საოცარი უნარით აგებულ „დარბაზებში“ თავს იყრიდნენ როგორც მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, ასევე – უბრალო, შეჭირვებული ადამიანები.

ათეული წლების განმავლობაში ერთგული დამოკიდებულებით, პირუთვნელი ბუნებით, პირადი ბედნიერების ავი დედინაცვალივით განმდევნელმა ქალბატონმა ქალაქის ისტორიაში მისი თაობით დახუნძლული ეპოქა შექმნა.

დიახ, ეს არის ქალი, რომელიც თვითშეფასებით არასოდეს დაკავებულა. ამიტომაც არის, რომ უამრავი მიზეზი არსებობს მიზიდულობის იმ საოცარი უნარის ახსნისა, რომლის შედეგაც დღემდე სახეზეა, – ხაზურის სინამდვილეში იზო პაქსაშვილი ურთიერთობათა ევერესტია!

არც ისე პატარა ქალაქია ხაზური. თუმცა, ერთმანეთის ყველამ ყველაფერი იცის. აქ დაბადებულ-გაზრდილები საბავშვო ბაღის ასაკიდან ახასიათებენ ერთმანეთს.

ყურს ვუგდებ და, მათ მიერ გულის სათბურში შენახულ მოგონებებს ვკინძავ...

ყოველი ადამიანი თავისი წინაპრის მხრებზე, ვით ფესვზე, ისე დგასო, ამბობენ და რა გასაკვირია, ისეთი პრინციპული და სამართლიანი კაცის შვილი, როგორ პიროვნებადაც იზო პაქსაშვილის მამას, ხაზურელ შალვა პაქსაშვილს ახასიათებენ, მშობლის კვალს გაჰყოლოდა და მისი ვერდაუსრულებელი საქმეები ეკეთებინა.

მეორე სამამულო ომის მონაწილე, ჩინ-მედლებით ვალმოხდილი რომ დაბრუნდა, შალვა პაქსაშვილმა ბედნიერი ბავშვობა გზადაგზა უშენა შვილებს. მომხვეჭელ ადამიანებს ვერ იტანდა კი არა, ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. ქვეყნის აღმშენებლობის პერიოდში ქვეყანასაც ეშველებოდა და ოჯახსაც ღირსეულად უძღვებოდა. როგორც ყველა, მისი სამივე შვილი სამაგალითოდ მიიჩნეოდა მამას და ბოლომდე მისი მრწამსის და საქმის ერთგულნი დარჩნენ. დედა ოჯახს დიასახლისობდა და ქმარ-შვილის ყოველდღიურ წვრილმან-მსხვილმანზე ზრუნავდა.

დღესაც ბევრი ცოცხალი მემკვიდრე დაბიჯებს ხაზურში. წარსულის ხმებს გამოსცემს მათი ყოველი ნაბიჯი. მთავარია, ყური დაუგდო...

მეც ვცდილობ...

ასეთ ოჯახში გაზრდილი გოგონა სკოლიდანვე სამართლიანობით და მეგობრობის საოცარი უნარით გამოირჩეოდა. პასუხისმგებლობის უდიდესი გრძობით დაჯილდოებულს, კომკავშირის კომიტეტის მდივნობა შესთავაზეს და უარს რატომ იტყოდა? ვიყოთ გულახდილები და ვალიაროთ, რომ მინუსებთან ერთად, კარგიც ბევრი ჰქონდა იმ დროსა და რეჟიმს. მაშინ თითოეულმა ჩვენგანმა, თუნდაც პიონერულ და კომკავშირულ რიგებში შესვლის დროს დასადები ფიცით გავისივრებდით და შევისისხლხორცეთ სამშობლოს სიყვარული... ჰოდა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი რა პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს, ხომ ადვილი წარმოსადგენია? სწორედ ამიტომ იყო, რომ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად თავდაუზოგავმა მეცადინეობამ პირველი გამოცდის ფრიალზე ჩაბარების შემდეგ იჩინა თავი. გოგონა იმდენად ცუდად შეიქნა, რომ იმ პერიოდისთვის თითქმის შეუძლებელი რამ მოხდა, – იგი მისაღები გამოცდებიდან მოხსნეს.

ერთი წელი როგორ გავაცდენინოთ სწავლამოწყურებულ გოგონასო და კომკავშირის რაიკომმა პიონერმუშაკთა ერთწლიან რესპუბლიკურ სკოლაში გაგზავნა. მას შემდეგ დაიწყო მისი მოღვაწეობა საკუთარ რაიონში. სამსახურის პარალელურად პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობა დაიწყო მაშინდელ რკინიგზის N4 სკოლაში (ხუროძის სკოლა) პიონერხელმძღვანელად. შემდეგ – პიონერთა სახლის დირექტორის მოადგილედ; კომკავშირის რაიკომის სექტორის გამგედ; კომკავშირის მეორე მდივნად, საიდანაც პარტიის რაიკომში გადაიყვანეს და ბოლოს სოციალური მომსახურების სააგენტოს (სობესი) განაგებდა.

იზო პაქსაშვილის მიერ განვლილი გზის ძიებაში მისი აქტიური ცხოვრების თანამგზავრები „შემომხვდნენ“. ესენი ის ადამიანები არიან, იმ ეპოქის მაჯა რომ ხელთ ეპყრათ და ყურს ყველა ერთად უგდებდა, სუნთქვა რომ არ შენელებოდა. ხაზურს, ვითარცა ჟამთააღმწერელ ხალხის მესხიერებას, არავინ და არაფერი ავიწყდება.

თანდათან იხსნება მოგონებათა სკივრი: იხსენებენ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს: შენია ტაბუცაძეს და ელენე ლაბაძეს, ამბერკი ებანოიძეს, რომლის შესახებ ერთი ლამაზი ფურცელი ქ-ნი იზოს არქივში ინახება. აგრეთვე, იმ პერიოდის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელს, მისი სკოლის გამორჩეულ დირექტორს, დავით კაკიაშვილს, რომლის ხელმძღვანელობისას, ერთ წელიწადს, ვაჟა ჯანაშვილის თაობა იყო, ყველა აბიტურიენტი რომ მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში.

რასაც ფიქრობს, მხოლოდ იმას ახმოვანებს მსცოვანი ქალბატონი: „ახლა რაც ხდება, იმ პერიოდს ეს არ ახასიათებდა, ყველა დასაქმებული იყო, არავის უჭირდა, პოლიტიკაში ნაკლებად ერეოდნენ ადამიანები და სიმშვიდეც ამას მოჰქონდა.

მამა-პაპათა ნაკვალევზე ნავიყვანეთ თანამშრომლები. მოვიარეთ ქერჩი, სევასტოპოლი, სტალინგრადი, ოდესა. გზაში გაგვაციოლეს ექიმი – მურთაზ ლიპარტელიანი, მედიკამენტებითა და პროდუქტით უზრუნველყოფილები ვიყავით ორკვირიანი მოგზაურობისას. ასე ზრუნავდნენ მაშინ ახალგაზრდებზე. დღეს ასეთ დამოკიდებულებას ვერ ვხედავ. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ გვყავდნენ მარტოხელა დედები. ისინი მხოლოდ ფინანსურს კი არა, მორალურ მხარდაჭერასაც გრძნობდნენ ჩვენგან.

არც მოხუცები არ იყვნენ გაჭირვებულნი და მიუსაფარნი. მარტოხელა მოხუცების მდგომარეობის შესასწავლად სამინისტროდან ჩამოსულებმა, სოფლებში გასვლისას დაინახეს, როგორ მეხვეოდნენ მადლიერი მოხუცები, დამპირდნენ: მინისტრს დაველაპარაკებით და მანქანას გამოვყოფთო. რამდენიმე დღეში ავტომანქანა „ნივა“ გამომიგზავნეს, – საჭიროებისთვის გამოიყენეო.

რვამარტელი ცოლ-ქმარი ხომ გახსოვთ, სონია და ვიქტორი? ბინა ავუშენეთ. იმათთვის დამახასიათებელი ჟესტებით სიხარულის გამომხატვის ფორმა დღემდე არ მავინყდება.

ჩვენ რასაც ვერ გავწვდებოდით, რაიონში არსებული თითო საწარმო თითო მარტოხელაზე ზრუნავდა. ერთხელ პენსიონრები ერთი თვით გემით ნავიყვანეთ „მცირე მინაზე“. მატარებლითაც ნავიყვანეთ სამოგზაუროდ. ერთი ვაგონი იყო სავსე ამ ადამიანებით.

საოჯახო კონცერტები პირველად ჩვენ დავიწყეთ რაიონში და მერე აიტაცეს სხვებმა.

ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ჩემშიც ადუღდა თავისუფლების წყურვილი და მთელი გულით თანაუგრძნობდი. 9 აპრილის გამოსვლებისას, სადაც ჩემი ხალხი იდგა, იქ ვიდექი და მეც მდულარე ცრემლით დავიტირე სამშობლოს თავისუფლებისთვის დაჩეხილი ადამიანები...

ზოგადად, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო და ასეა დღემდე, – ჩემი სამეგობროა, ერთი დიდი ოჯახია.

ძმის შემდეგ მეგობრების დაკარგვა ყველაზე მტკივნეული განცდაა ჩემთვის. სამეგობროდან, პირველი, პეტა კაპანაძე გავაცილეთ იმიერში... ის იყო პირველი ტკივილი. მასზე ნუხილმა იმსხვერპლა ზაური სახვაძე. მეგობრობის ეტალონი იყო კარლო ხვედელიანი; კარლო ნადირაძე – ცოცხალი ენციკლოპედია, უგანათლებულესი პიროვნება. გულის შეტევით სახლში გარდაიცვალა.

ერთ გუნდად ვიყავით შეკრულნი. რაიონის სტუმარი ჩვენი სტუმარი იყო. მურთაზ ლიპარტელიანი რომ გარდაიცვალა, მას შემდეგ ვფიქრობ, ნეტავ ვინ ხვდება ახლა ხაზურში ჩამოსულ სტუმრებს-მეთქი.

ყოველთვის ვგრძნობდი სიყვარულს და პატივისცემას.

რაიკომმა რომ ორსართულიანი ბინები ააშენა, მეც შემომთავაზეს. შევიცხადე, გაუთხოვარი ქალი ვარ, მშობლებთან ვცხოვრობ და ცალკე ბინა რად მინდა-მეთქი. ჩვენს დამლაგებელზე მივუთითე და მას მისცეს, რადგან ბინა არ ჰქონდა.

ხაზურის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოიდგენია. კმაყოფილი ვარ განვლილი გზით, მაგრამ უკვე ვგრძნობ, რომ სინანული შემომეჩვია, საკუთარი ოჯახის ვერშექმნის სინანული! მიზეზი ერთია: არ მეცალა. დღე და ღამე სამსახურში ვიყავით. ჩემ გარშემო ვინც ტრიალებდა, ყველა ჩემი ძმა იყო და ერთი ნუთით ვერ დავუშვებდი, სხვაგვარად მეფიქრა.

ჩემს დასაც არ აქვს ოჯახი... ჩემი ძმის ოჯახი ამერიკაშია და მოდის ის დიდი სინანულით გაჯერებული ტკივილი, რომელსაც სახელს არ ვარქმევ...

მხოლოდ იმას არ ვნანობ, რომ ჩემი არსებობის მანძილზე არაფერი მატერიალური არ შემიქმნია. მთელი ჩემი შემოსავალი ურთიერთობებში, გაჭირვებულების დახმარებაში და სტუმრების ღირსეულად დახვედრა-გამასპინძლებაში იხარჯებოდა. თავიდან რომ ცხოვრება დავიწყო, იმავეს გავაკეთებდი...

დღეს ძველი სამეგობროდან გივი ხვედელიძე, ჯემალ გელაშვილი, მალხაზ ჭყოიძე შემომრჩა. შიო მურთაზის ტრადიციას აგრძელებს. რეზო ინასარიძე, გოგი შუბითიძე და ვასო ხაჩიძეც ხშირად მსტუმრობენ. ყველას ვერც ჩამოვთვლი. ჩემი სახლი სიყვარულის სასტუმროა და აქ მხოლოდ გულწრფელი ურთიერთობები დაივანებენ ხოლმე. ჩემი თაობიდან ბევრი ქალი მეგობარი აღარაა, მაგრამ ყველა ასაკის ქალბატონი მსტუმრობს, არ მივიწყებენ... ეთერი ახვლედიანის, ციციხო ბურნაძის და ნანი გაჩეჩილაძის ნასვლით მივხვდი, რომ რაღაც დიდი და ნათელი დასრულდა...“

გასახსენებელის მეტი რა აქვს ქალბატონ იზოს!

... და, დღემდე დინამიკური ენერჯის წყაროა იგი.

მადლობა უფალს, ჩვენია ეს ქალბატონი. ამაოების ბაზარზეც კი მოიპოვება ისეთი მარცვალი, ადამიანის არსებობის აზრი რომ უნდა აღმოაცენოს... ჰოდა, ვითვლი ამ მარცვლებს... იმაზე მეტია, ვიდრე მეგონა!

თითქოს მთელი ცხოვრება ალექსანდრე დიუმას მოძღვრებით ხელმძღვანელობდა იზო პაქსაშვილი:

„წურასოდეს დააფასებ ფულს ნურც მეტად, ნურც ნაკლებად, ვიდრე იგი ღირს, რადგან იგი კარგი მსახურია და ცუდი ბატონი“.

დიახ, ეს იზო პაქსაშვილია, ცუდ ბატონს გამორიდებული, მეგობრობის, ურთიერთობების საუკეთესო მაგალითი, მისი შემდუღებელი, სიყვარულის პირუთვნელი მსახური...

კლარა გელაშვილი – ხაზურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი

